# სამშობლო

შაბათი 25 ივლისი 1915 წ.

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის ფული [illegible] ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებ[illegible] ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილ[illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 138 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 138

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩ[illegible]ნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთის ფასი: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი **მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.**
**იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.**

**ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი** ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დაწყებით 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, კარიგმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 5—7 ს.

**გაბრიელ იოსების ძე**
**ექიმი გოკიელის**
**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**კერძო ექიმი** **მიხეილ კაშია** კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

**მასაჟით სამკურნალო კაბინეტი** **მარ. ბალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიფოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
**საზაფხულო შენობაში.**
ხუთშაბათიდან, 23 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
I
**კატე ჟურნალი.**
II
ნორდისკის სენსაცია!
**სიმები დასწყდეს, ჰანგი მაინც გუდებ[illegible].**
სამ ნაწილათ, ევა ტომსენის და რობერტ დინზენის მო[illegible]
III
**ცოცხალი მანეკენი.**
მხიარული კომედია.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 27 ივლ. ნაჩვენები იქნება:
**დაიმსხვრა სიცოცხლე, გაცრუვდა ოცნება.**
**1002 მოხერხება.** ფარსი ბაუერის მონაწილეობით.


# ომის დღიური.

ბ-ნი ი. გე—ვა—ლი „ს. ფ.“ გუშინდელ ნუმერში სწერს:

მოწინავე ასპარეზზე, რომელიც ვისლის, ნარევის და ლიუბლინ ხოლმის ხაზებით ისაზღვრება, რუსის ჯარი განაგრძობს თავის გეგმის ასრულებას. იგი თან და თან სტოვებს ამ მოწინავე ასპარეზს და გადადის წინაწარ განზრახულ მთავარ პოზიციაზე. ახალი ჯარის კონცენტრაცია და ახალ პოზიციაზე მისი დამკვიდრება—მოწყობა დროს მოითხოვს და ამიტომ საჭიროა მტრის შემოტევა რაც შეიძლება დიდი ხნით შეჩერებულ იქმნას. ამიტომ არის რომ რუსის ჯარის უკან მავალი რაზმები ისეთის სიმედგრით და თავ განწირვით ებრძვიან შემომტევ მტერს.

გუშინდელ დეპეშის ცნობით რიგა-ბაუსკის რაიონით გერმანელების ჯარს კიდევ წინ წამოუწევიათ და რუსის ჯარი მდ. მისანთან გადასულა. მდ. მისა მიტავას აღმოსავლეთით არის. პონევეჟის აღმოსავლეთით კვლავ ბრძოლაა, მდგომარეობა აქ გამორკვეული არ არის. ნარევის ხაზით, მდ. შკვის და ოსტროლენკის შუა, რუსის ჯარი ახალ პოზიციაზე გადმოსულა. ჩვენ ვიცით, რომ აქ საშინელი ბრძოლა იყო. ამ ჟამად გერმანელების ჯარი გადმოსულია ნარევზე შკვის შესართავიდან დაწყებული თითქმის ბუგის შესართავამდე. მაშასადამე ნარევის ხაზი აღარ არსებობს, როგორც სიმაგრე და არავითარი ინტერესი არა აქვს მის დაცვას. თითქმის ასეთსავე ხასიათს იღებს შუა ვისლის ხაზი. მართალია რუსის ჯარი დიდს წინააღმდეგობას უწევს მტერს, მაგრამ მაინც ბოლოს და ბოლოს ვარშავის და ვიმლის ბედი უკვე გადაწყვეტილია, მით უმეტეს, რომ გერმანელებმა ვისლის ხაზიც გაარღვიეს და ამან გამოიწვია ბლონე-ნადარჟინის ხაზით რუსის ჯარის ვარშავის პოზიციაზე დახევა. არა გვგონია, რომ თვით ვარშავის პოზიციებზე ბრძოლა მოხდეს, უფრო მოსალოდნელია აქ ახალი გადაჯგუფება ჯარისა. ასეთივე ბედი მოელის, როგორც ირკვევა ივანგოროდის რაიონს, მით უმეტეს, რომ შუა ვისლის მარცხენა ნაპირი თითქმის მთლად დატოვებულია. მდ. ვეპრჟის ნაპირებით და ხოლმ-ვლოდავას გზატკეცილიდან გერმანელები ცდილობენ რუსის ჯარის გარღვევას, მაგრამ გუშინდელ დეპეშის სიტყვით რუსის ჯარს მტერი უკუ უქცევია დიდის ზარალით. აქ საშინელი, დეპეშის სიტყვით, უმაგალითო ბრძოლა მომხდარა.

---

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 23 ივლ. ოფიც. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. [illegible] პირის რაიონში სროლაა. [illegible] მიმართულებით ოსმალონი უკუ ვაქციეთ ნორშინიდან. სარაყამიშის მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ სოფლები: ალაკილისა, წარსა და ადროსი. ალეშკერტის მიმართულებით მედგარი ბრძოლაა. დანარჩენ ადგილებში ბრძოლა არ ყოფილა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 23 ივლისი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. საზოგადო მიზეზების გამო ჩვენმა ვარშავის დასავლეთით მყოფმა ჯარმა ბრძანება მიიღო ვისლის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულიყო. თანახმათ მიღებული ცნობისა ეს ბრძანება შესრულებულ იქნა. ვარშავის მცველმა ჯარმა 23 ივლისს დილის ხუთ საათზე უკან დაიხია ახალ ფრონტისკენ. მტერს ხელი არ შეუშლია. ჩვენმა ჯარმა ააფეთქა ვისლაზე ველა ხიდები.

**პეტროგრადი.** 22 ივლ. ოფიც. საზღვაო შტაბიდან. ჩვენმა საზღვაო მარჯვე მოქმედებამ შავ ზღვაში გამოიწვია გერმანიის მხრით ოფიც. ცნობა, ვითომ ჩვენი გემების უფროსები სპობენ ისეთ გემებს, რომელნიც სამხედრო სურსათს სრულიადაც არ ეზიდებიან, ვითომც ისინი შეუკითხავათ და გაუფრთხილებლათ ძირავენ ამავე გემებს. მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი ბრალდება წამოყენებულია გერმანელების მხრით, რომელმაც ცხადათ დაარღვია საერთაშორისო და ზნეობრივი კანონები, საზღვაო შტაბი იუწყება, რომ ზემოაღნიშნული ცნობა სიცრუეა. ჩვენი ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები ღუპავენ ოსმალოთა გემებს, რადგანაც მათ გადააქვთ ქვა ნახშირი, ნავთი და სამხედრო სურსათი. დაჭერილი არტილერიის სურსათი მოტანილია სევასტოპოლში. ამ ნაირათ არსებობს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, ბერძნებს ძალათ ამუშავებენ გემებზე და მეთვალყურეთ მათ უყენებენ ოსმალო კაპიტანს. ამ გემების კომანდა არ არის სამხედრო ტყვეთა რიცხვში ჩათვლილი. ჩვენი ფლოტი ყოველ ზომას ღებულობს კომანდა გადაარჩინოს და ყოველთვის გადმოყავს თავის გემებზე.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. მთავარ სარდლის შტაბისაგან რიგის გეზით მდ. მისზე ბრძოლის შემდეგ მტერმა საჩქაროთ დაიხია მდ. ეკაუსკენ, დასტოვა რა თხრილებში ბევრი სამხედრო სურსათი. პონევეჟის აღმოსავლეთ რაიონში ბრძოლა გრძელდება, სადაც გერმანელებმა შესძლეს მცირე მანძილზე წინ წამოწევა. ნარევის ფრონტზე გერმანელებს იერიშები მოაქ. ლომჟის გეზით ოსტროლენკო-ლოჟანის ფრონტიდან გერმანელებმა მრავალ-რიცხოვანი ჯარით იერიშების მოტანა დაიწყეს ოსტროვისკენ მიმართულ გზებზე. ორივე მხრიდან ბრძოლა დიდი თავ-განწირვით იყო ორსტიუმთან მდ. ოჟის მიდამოებში ჩვენი ჯარი მტერს კონტრ-იერიშებით შეხვდა, როცა იგი ამ მდინარის ბევრს ადგილას გადმოდიოდა. ვარშავის დასავლეთით, შოსეს სამხრეთით, ბლონზე 22 ივლისს, დილით ჩვენ წარმატებით ვიგერიებდით მტრის იერიშებს.

მიუხიდავათ მტრის [illegible] ზარალისა, გერმანელებმა შესძლეს ჩვენ მავთულიან ღობეებამდის მოღწევა, მაგრამ აქ შეჩერებულ იქნენ ჩვენი ცეცხლით.

მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე, მაციევიცასთან, მდგომარეობა საერთოდ უცვლელია. ივანგოროდის რაიონში მტერი დიდი ზარალით უკუვაქციეთ. ფრონტის ბევრ ადგილას ჩვენმა ხშირმა წარმატებამ საშუალება მოგვცა დაგვეკავებია უფრო ხელსაყრელი ფრონტი, როგორც ბუგის მარჯვენა ნაპირზე, ისე ვლადიმირ ვოლინსკ-კოველის გზებით. ზემო ბუგზე, ზოლოტაია ლიპაზე და დნესტრეზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

შავ ზღვაზე ჩვენს ნაღმოსნებს სროლა ჰქონდათ ერეგლის ბატარეიებთან. ამ სროლის დროს 37 იალქნიანი გემი განადგურდა.

**დარდანელი.**

**ათინა.** 19 ივლ. ინგლისის წყალქვეშა ნავმა აიდარფაშასთან ააფეთქა შვიდი ვაგონი, რომელშიდაც მცირე აზიიდან გადმოყვანილი ჯარი იმყოფებოდა. ორხანიესთან საფრანგეთის წყალქვეშა ნავმა ააფეთქა ოსმალოთა ტრანსპორტი, რომელშიდაც 750 ჯარისკაცი იმყოფებოდა. რუსეთის აეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა სტამბოლში, რითაც დაზიანდა მერია-სკუტარში. პერაში ცეცხლმა მოსპო 3000 სახლი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ცეცხლმა მოსპო 5000 სახლი. ოსმალო ჯარისკაცები ქრისტიანების სახლებს არბევდენ ცეცხლის ჩაქრობის დროს. ცენზურამ აკრძალა ამის შესახებ რამე ცნობა გაავრცელონ. დაზარალებული ქრისტიანებს არავითარ საშუალებას არ უჩენენ.

ინგლისის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ქვა-ნახშირით დატვირთული გემი.

**ვილჰელმის მანიფესტი.**

**სტოკჰოლმი.** 19 ივლისი. ბერლინიდან გადმოცემულია იმპერატორ ვილჰელმის ვრცელი მანიფესტის ტექსტი, რომელიც გამოცხადებული იყო ბერლინში ომის წლის თავის შესრულების გამო. მანიფესტი ისე მედიდურათ და მაღალი კილოთი არაა შედგენილი, როგორც შარშანდელი. „უმაგალითო სისხლის ღვრის დრო დადგა ევროპაში და მთელს ქვეყნიერობაზე — ნათქვამია მანიფესტში. მაგრამ ღვთისა და ისტორიის წინაშე მეფის სინიდისი წმინდაა იმპერატორს არ სურდა ომი არც ესწრაფოდა ქვეყნების დაპყრობას. გერმანიის ჯარი იბრძვის მხოლოდ ერის დასაცავად. საგულისხმოა, რომ მეფე თავის მანიფესტში არ აღნიშნავს გერმანელების მისწრაფებას პარიზში შესვლის გამო, და ამბობს, რომ გერმანელებმა უკუაგდეს მტერი, რომელსაც უნდოდა ბერლინში შემოჭრაო.

მანიფესტში ხაზგასმით აღნიშნულია გერმანიის ეკონომიური ძლიერება და ხალხის შეგნებული თავგანწირვა, მიუხედავათ სახელმწიფოების ჩარევისა საქონლის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის საქმეში. მანიფესტში აღნიშნულია გერმანიის ჯარის მამაცობა და გმირობა. იმედს გამოსთქვამს, რომ გერმანიის ხალხი გადაიტანს ამ განცდას ვიდრე ჩამოვარდებოდეს ზავი, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს მას პოლიტიკურათ, ეკონომიურათ და ომიანობის მხრივ განხორციელდება და მომზადდება ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის ხალხის ნაყოფიერ მუშაობას.

**შავ ზღვაზე.**

**სევასტოპოლი.** 23 ივლ. ჩვენმა ნაღმოსნებმა დააკავეს 300 იალქნიანი ქვანახშირითა და სამხედრო სურსათით დატვირთული გემი.

**იტალიის აფიცრები ინგლისის ბანაკში.**

**ლონდონი.** 22 ივლ. იტალიის აფიცრები ესტუმრენ ბრიტანიის საექსპედიციო ჯარს, რათა შეუთანხმონ საერთო მოქმედების გეგმა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის მოქმედებას.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 23 ივლ. ჩვენმა მძიმე არტილერიამ მარჯვეთ დაუშინა ყუმბარები რკინის გზის სადგურს გოორგოსა და ვალსუგანოს შუა. მონტემედენსთან იერიშის დროს მტერი დიდათ დაზიანდა. კარნიაში ღამემ წყნარათ ჩაიარა. დილას ჩვენმა არტილერიამ მტრის ქვეითა ჯარს ესროლა მორკოტინისთან. ჩვენი შეტევა კვლავ განახლდა მარცხენა ფრთაზე დ ცენტრში. აქ ოდნავ წინ წავიწიეთ. მარცხენა ფრთაზე შევინარჩუნეთ წინათ აღებული ადგილები. მონტესეიბუსში მტერი უშედეგოთ სცდილობდა დაკარგული ადგილების დაბრუნებას.

---

# ჟურნალ გაზეთებიდან.

**კოპენჰაგენი.** პარიზიდან იუწყებიან, რომ ავსტრიის მთავრობამ ტრიესტი დასტოვა.

**კოპენჰაგენი.** იუწყებიან, რომ იტალიის პოეტმა დანუციომ მონაწილეობა მიიღო ჰაეროპლანთა ბრძოლაში. დაფანტა მისგან დაწერილი პროკლამაციები ავსტრიელების ბრძანებლობის მალე მოსპობაზე.

ოსმალეთის მთავრობა ნებას არ აძ-

ლევს იტალიელებს სამშობლოში დაბრუნებისთვის, მიუხედავათ იტალიის მთავრობის პროტესტისა.

**ვ. ლ. ბურცევი და სვინხუვუდი.**

სამეურნო საქმეთა უმთავრესმა გამგემ აუწყა დეპუტატ მაკლაკოვს, ანტონოვსა და სხვას, რომ უკვე 10 დღეა, რაც ბურცევის პატიება მოხდა. რომელსაც ნება აქვს დაბრუნდეს რუსეთში, ან თუ მოისურვებს, გავიდეს საზღვარ გარეთ. მხოლოდ მას არა აქვს ნება საუნივერსიტო და სატახტო ქალაქებში ცხოვრებისა. აპატიეს აგრეთვე ფინლიანდიის სეიმის ყოფილს თავმჯდომარეს სვინხუვუდს. ორთავეს თავისი უფლებები აღუდგინეს.

„რ. ვ."

**პარიზი.** ერთი თვის განმავლობაში Bauque de France ის კასაში დახურდავდა ქაღალდის ფულები 222 მილიონ ფრანკისა ოქროზე, რომელიც მცხოვრებლებმა შემოიტანეს.

**პეტროგრადი.** ფაქტიურათ გამორკვეულია, რომ ჩვენს ფრონტზე გერმანიის ჯარის გადმოყვანა გრძელდება. 54 და 58 დივიზია ახლა ხან ჩამოვიდა გერმანიის დასავლეთ ფრონტიდან და 16 ივლ. დაიწყო ბრძოლა.

**ვარშავა.** საღამოს 7 საათზე ვარშავაზე გამოჩნდა 4 გერმანელი ჰაეროპლანი, რომელსაც სროლით შეხვდენ. ჰაეროპლანიდან ჩამოყარეს ყუმბარები. სროლა 1 საათს გაგრძელდა. ერთი ჰაეროპლანი ქალაქის გარეთ ჩამოვარდა.

**ვარშავა.** გალიციის ზარალი, ომის გამო, $2^1/_2$ მილიარდ კრონს უდრის.

**გარეშე მიმოხილვა.**

კოპენჰაგენიდან გვაუწყებენ, რომ 1914 წ. გერმანიის უნივერსიტეტებში ჩაწერილი იყო 80.000 სტუდენტი; 1915 წ.— 64,700 სტ. რომლიდანაც 50,300 საომარ ფრონტზე იმყოფება. 4000 სტუდენტ ქალებიდან 600 მოწყალების დათ ჩაეწერა. წინათ ბერლინის უმაღლეს ტეხნიკურ სკოლებში ირიცხებოდა 2,200 მსმენელი. დღეს კი, მხოლოთ 360.—მსმენელი ითვლება.

**საფრანგეთის მხატვრები ბრძოლის ველზე.**

მრავალი ფრანგი მხატვარი იმყოფება დღეს ბრძოლის ველზე. ყველანი თავგამოდებული ასრულებენ თავის სამხედრო მოვალეობას და ამავე დროს არ ივიწყებენ თავის ხელოვნებასაც. ისინი ნაგლეჯ ქაღალდზე იღებენ ფრანგის ჯარის კაცის ცხოვრებას თხრილებში ბრძოლისა და დასვენების დროს.

ზოგი მათგანს, ვინაც ჯარში არ არის გაწვეული, ნება დართული აქვს, რომ იმუშაონ ხელოვნებას ყველა მოწყობილებით მომქმედ ჯარში.

მოხუცი ჟანო თავის სახელოსნოში მუშაობს. მას მიანდვეს ოფიციალური განცხადება საფრანგეთის მთავრობისა გერმანელების სიმხეცეზე,—„სისხლის წიგნი", როგორც მას ეძახის ხალხი. მისი სურათები გულის დამწველ შთაბეჭდილებას ახდენს.

**გერმანელების იმედი ტეხნიკის გაუმჯობესობაზე.**

ახლახან გერმანიიდან ჩამოსულმა პირმა „დეილი ეკსპრესს"-ის თანამშრომელს აუწყა შემდეგი: ინჟინრები და მეცნიერები დღე და ღამე მუშაობენ ახალი გამანადგურებელი საშუალების აღმოსაჩენათ. კრუპპი გერმანელების ღმერთია. არ არის ახლა კაცი გერმანიაში, რომელიც არ იგონებდეს სიკვდილის იარაღს. ვინც უნდა იყოს, შეუძლია მიაწოდოს მთავრობას თავისი გამოგონებანი. კრუპპის ქარხანაში მუშებს ახალისებენ გამოგონებისადმი. ყოველგვარ მცირე გამოგონებას მთავრობა დიდათ აჯილდოებს. ქიმიკოსები და ინჟინრები სამხედრო მოვალეობისაგან გაათავისუფლეს და სახლში ბრუნდებიან. გერმანელი ხალხი ირწმუნება, რომ გამოგონებულია 20 დიუმიანი ზარბაზნები ტყვიის მფრქვეველის მზგავსი, რომელიც ფანტასტიურ სივრცეზე აღწევს. თითოეული გერმანელი ოცნებობს იმაზე, თუ რა დღეს დააყენებს ეს იარაღი ინგლისს. ერთი კელნის გაზეთი თხოულობდა ახლახან, რომ გაავრცელონ მთელს ინგლისზე სულის შემხუთველი გაზების ღრუბლები, რომელიც გასწყვეტს ყველას მამაკაცებიდან დაწყებული ბავშვებამდე. კრუპპის ქარხნები ამზადებენ ახალ-ახალ იარაღს, მეცნიერები სწერენ, თუ როგორ გაავრცელონ საწამლავი გაზები, რომელთაც არავითარი ფერი არ უნდა ჰქონდეს, და მტერი არ გააფრთხილოს. მთელს იმედებს გერმანია დღეს მაშინებზე ამყარებს.

ნ. ვ.

# მოგონება.

სიო ფრთა ანცი ჩემს ფანჯარასთან იასამანის ტოტებს არხევდა,
ათამაშებდა ჩამოშლილ ფარდას, ხან შეაფრენდა, მაგრამ არ ხევდა...
ბაგე გაეპო ხავერდის ვარდსა, ღამე ვერცხლის ნამს მკერდზე აბნევდა,
ვარსკვლავი ტრფობით თვალს უშვებოდა და მთვარე სხივთა მტვერსა აბნევდა...
ზღაპრულ ლანდებით დასერილ მოლზე ცელქმა კალიამ სიმღერა მორთო,
ჩანგმა მამულის საქებრათ სიმნი შეახმატკბილა,ააწყო, მორთო...
რა კარგი იყო იმ დროს ქვეყანა, რა საამტკბილოთ მიძგერდა გული,
სატრფოს ბაგეზე ღიმილს ვფურცლავდი მაშინ გიჟმაჟი და აწ დაგული.
არა, არ მჯერა, რომ დამიბრუნდეს რაც რომ დავკარგე კვლავ აწ ის-ღა მე,
მხოლოდ დამრჩება სამარადისო ტკბილ მოგონებათ სულ აწ ის ღამე.

**დ. ცვარჩამი.**

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ ქუთაისის გუბერნატორი კანერ იუნკერი ბ-ნი პოტულოვი გუშინ დილით გაემგზავრა ს. ზეკარს (ბაღდადის მხარეში), დამშეული გლეხების მდგომარეობის გამოსარკვევათ.

✦ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა ნება დართო საფირჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნ-საცავ სამკითხველოს სამზრუნველო კომისიას გამართოს წარმოდგენა 30 ივლისს ამავე სამკითხველოს სასარგებლოთ.

✦ რედაქციამ მიიღო ალილონის მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნი რუსულ ენაზე „აკაკი და მისი პოეზია".

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შესაფერი სანიტარული ზომები მიიღო, რადგანაც ხოლერამ თფილისში უკვე თავი იჩინა.

✦ საფირჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნ-საცავ სამკითხველოს 25 მანათის წიგნები შემოსწირა ვასილ ბეჟანეიშვილმა. ამავე სამკითხველოს სასარგებლოთ კვირისთვის გასამართი საღამო სხვა დროისთვის გადაიდვა.

✦ ს. ნანეიშვილიდან (გურია) გვწერენ რომ იქ ამ ბოლო ხანში მიუხედავათ იმისა რომ ფირალობა შესუსტდა ხალხის ენერგიული წინააღმდეგობის გამო, მაგრამ ამ ჟამათ გავრცელდენ მეორე ხარისხის შანტაჟისტები სესხის სახათ ახდევინებენ ფულს. ასეთი შემთხვევა მოუხდა მღვ. ს. ძნ—ს ოჯახს. საჭიროა ყურადღების მიქცევა.

✦ სად. ჯუმათიდან (გურია). გვწერენ რომ ადგილობრივმა მცხოვრებმა ნოე ტუღუშმა ნაცვლათ დღესასწაულის გადახდისა, თავისი წვლილი შესწირა 5 მან. ებალაურის ახლათ დაარსებულ ბიბლიოთეკა სამკითხველოს აწ განსვენებული მისი ვაჟის გიორგის სახელით. წასაბაძვი მაგალითია.

✦ ერობის შემოღება კავკასიაში. თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი ა. ს. ბაბოვი პეტროგრადის ქალაქის გამგეობას ატყობინებს, რომ სახელმწიფო სათათბიროს მესამე კრებას განსახილველათ წარედგინა კანონ პროექტი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. 22 ივლისს მომხდარა თათბირი სათათბიროს წევრებისა და კავკასიის ქალაქების წარმომადგენლებისა.

# შენიშვნა.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. კირეევი მთავრობას აღმატებით გადაყავს სხვა ადგილზე და მის მაგიერ ინიშნება ბ. ბრუსილოვსკი.

თუმცა ბ. კირეევი დიდი ხანი არ არის აქ სამსახურში, მაგრამ მაინც საკმაოდ გამოირკვა მისი ფიზიონომია და კიდევაც მიიქცია ყურადღება თავისი მიმართულებით. შეიძლება ბ. კირეევს, როგორც პედაგოგს და ადმინისტრატორს კიდეც აკლდეს რამე, მაგრამ მის დამახასიათებელ ნიშნათ უნდა ჩაითვალოს მისი ერთი ძვირფასი თვისება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ პედაგოგიურ სფეროში ის არ სცნობდა პოლიტიკას. სამწუხაროთ ეს იშვიათი მოვლენაა ჩვენში და ჩვენ ამ გვარ პირებზე დანატრულებული ვართ.

ბ. კირეევი ასეთ გზას ადგა მიტომ კი არა, რომ ვისთვისმე თავი მოეწონებია და რამე პირადი ანგარიშები აესრულებია, სრულიადაც არა. ეს მიმართულება მისი გამომდინარეობდა მისი ბუნებრივი მიდრეკილებისა და რწმენისაგან. სწავლა აღზრდის საქმეში ბ. კირეევს ერთი განმანათლებელი მიზანი ჰქონდა დასახული და ამიტომაც არავითარ პოლიტიკურ ტენდენციას არ აძლევდა ადგილს, რისთვისაც ბ. კირეევი [illegible] მით მოსახსენებელია.

მისი მოადგილე [illegible] ბი პიროვნებაა და ვინ იცის ის რა გზას დაადგება, მაგრამ სწორეთ მეტათ სასურველია, რომ მან თავისი წინამოადგილის არჩეული გზა გაითვალისწინოს და საღი პედაგოგიური საქმე პოლიტიკისაკენ არ გადახაროს.

საუბედუროთ, ჩვენში კიდევ უნდა ვამტკიცოთ ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ სწავლა და ნათელი სფერო პედაგოგიისა არ მოთავსდება პოლიტიკასთან და თუ პოლიტიკასთან ძალით შეიჭრა პედაგოგიაში, მაშინ პედაგოგიის განადგურება და დამსხვრევა ყოველთვის მოსალოდნელია.

**ონ.**

# ბრძოლის ველიდან.

დიდი ხნის მოლოდინს შემდეგ მივიღეთ 16 ივნისის „სამშობლოს" ნუმერი. პირველი შეხედვისათანავე ჩემს თვალს სასიამოვნო რამ ეცა—პოეტის საუკეთესო სიტყვები—სრული ჭეშმარიტება: „სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია ძმობილთ, მირჩევნის ორთავ თვალზედა, როგორც უფალი სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა." დიდებულია ლოზუნგი „საქართველო"-სი და „სამშობლოსი": ვის არ უნდა აუტოკოს გული ამ სიტყვებმა, რომელი ქართველი არ უნდა ჩააფიქროს ამ სრულმა ჭეშმარიტებამ?

„სამშობლო ხევსურისა" ბევრმა იცის ჩვენში ზეპირად, მაგრამ ბევრი, ალბად, არც ჩაჰკვირებია ამ ბრძნულ სიტყვებს და ახლა კი, როდესაც ყოველ დღე ახსენებს მკითხველს ამ სიტყვებს „სამშობლო", ცხადია ერთხელაც იქნება ჩაუკვირდება და შესაფერ გავლენას მოახდენს მასზე.

პირველად ჩვენ კი პოეტის ლექსიდან ამ ამოღებულმა სამმა სტრიქონმა მეორე მგოსნის სიტყვები გაგვახსენეს, რომელმაც თავის სატრფოს, კალობრიობის ლამაზ სქესთაგანის ერთ-ერთ წევრს უთხრა:— მე შენ მიყვარხარ და მეყვარები, სანამ მიწაზე დავიარები"-ო.

ის, თუ რამდენად გულწრფელია ეს სიტყვები, ჩვენ ამაზე არას ვიტყვით, იმის თქმა კი თამამად შეგვიძლია, რომ ყოველს ნამდვილ გულწრფელ ქართველს შეუძლია ეს სიტყვები გულის ფიცარზე ამოიჭრას და ტურფა ასულის მაგივრად

# აღსარება.

**დავით ოცხელისა და ექიმ ბადრიძის წერილების გამო.**

ნათქვამია: ნუ შეხვალ, ნუ ეპანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო!

მეც, რაკი ბედმა მარგუნა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა, რაკი ერთხელვე ჩავები ცხოვრების უმადურ ტალღებთან ბრძოლაში, ერთი წუთითაც არ მაშინებს ბადრიძეების ბადრიძული ლათაიები და არცა მწყინს მათი გამოლაშქრება ჩემს წინააღმდეგ. რა ჰქნან, ისინიც კაცნი არიან, უნდათ დაენახონ საზოგადოებას და ბაჰუა—კრილოვის საარაკო ბუზივით დაიბზუილონ ხოლმე:

— ჩვენცა ვხნავთო!..

ამას საზოგადოთ მოგახსენებთ, რასაკვირველია, თორემ ბ-ნი ექიმი ბადრიძე მეტი მადლობის ღირსია ჩემის მხრით, რადგანაც საშუალებას მაძლევს ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენო საზოგადოებას და გავფანტო ის მითქმა-მოთქმა, ის, ასე ვსთქვათ, ჭორები და მოცლილთა ის ლაყბობა, რომელიც ამ ბოლო დროს ატყდა ჩემს გარშემო.

ქუთაისი პატარა ქალაქია, მაგრამ სიმართლე აქაც ხშირათ მახინჯდება ხოლმე და, გადადის-რა ერთის პირიდან მეორეში ესა თუ ის ამბავი,—ხშირათ ფანტასტიურ სახეს ღებულობს და ბოლოს აღარ იცით: სად თავდება სიმართლე და სად იწყება „ბადრიძეული"—ესე იგი სიცრუე, თავხედობა და უტიფრობა.

და, რადგანაც ეს სიცრუე ქუთაისის გარედაც ვრცელდება და ალალ-მართალი კაცი შეიძლება მოტყუებული დარჩეს, მე ვკადნიერდები და **ერთხელ და სამუდამოთ** ვამბობ ჩემს აღსარებას, დაუფარავად ისე, როგორც მორწმუნე კაცი ამბობს ხოლმე მას თავისს მაცხოვრის წინაშე. დაე ეს იყოს ჩემი მხსნელიც და ჩემი სამარეც, თუ მკითხველი საზოგადოება საჭიროთ დაინახავს ჩემს გამტყუნებასა და ჩემს დამარხვას..

მას შემდეგ, რაც გონების თვალი ამეხილა, რაც შევიმეცნე და გავითვალისწინე ბოროტებანი ამა ქვეყნისა,—შეძლებისა დაგვარად ვებრძოდი [illegible] ბოროტებათ. სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის ძველი რეჟიმი მინიატიურა იყო ყველა იმ უბედურებისა, რომელსაც განიცდის მთელი ჩვენი სამშობლო.

ამ სასწავლებლიდან გამოვიდა ბევრი „მემარცხენე" თუ „მემარჯვენე" მკვლევარი ჩვენის ცხოვრებისა. მათს წრეში ვტრიალობდი მეც. შეიძლება მე, ვერ შევწვდი დიად მოძღვრებას მთელის მსოფლიოს სამსახურისას, მაგრამ მთელის ჩემის არსებით კი შემიყვარდა სამშობლო, შემიყვარდენ დაჩაგრულები, შემძულდა უსამართლობა, **პირმოთნეობა და ჯაშუშობა.** ეს სიძულვილი არა ერთხელ გამომითქვამს ჩემს ნაწერებში და ჩაგრულების მხილებისთვის არა ერხელ მიღებნია ცივი სარეცელი „ურჩთათვის" გამზადებული.

საჭირო იყო მხოლოდ თითის მოკაკვა, მხოლოდ მლიქვნელობა, მხოლოდ ჩვეულებრივი თვალთმაქცობა, მხოლოდ თვალის დახუჭვა ზოგიერთ რამეზე; საჭირო იყო მოტყუება უვიცი მშრომელი ხალხისა, ან დაბრიყვება მაშვრალთა, რომ დღეს მეც მქონოდა ორ-სართულიანი სახლი, ჰაეროპლანივით მომერთო ჩემი ცოლ-შვილი, მივცემოდი ყოველგვარ პირად შვებას და **თათო ორთოლა გრომის კანკალით გალებით,** და ჩემ სპეციალურ საგანზე წელიწადში ორი-სამი უანბანო (безграмотно) წერილების დასტამბვით „საზოგადო მოღვაწეთა" რიცხვში **ძალით** მაინც ჩავწერილვიყავი. (სპეციალურ საგანზე წერილების წერა მარტო ექიმების მონოპოლია არ არის, ეს იურისტებსაც შეუძლიათ), მაგრამ ასეთი გზა შემძულდა პატარაობიდანვე და ახლა, როცა ჭაღარით შევიმოსე, ასეთი გზა ისევ იმათთვის დამილოცნია, ვინც იმდენათ ბრმაა, რომ თავის ცხვირს იქით ვერაფერსა ხედავს და ვისაც მართალი სიტყვა გველივით ჰხამავს... ასეთები კი ბევრია ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში და რა გასაკვირველია, რომ ეს „ბევრი" ჩემისთანებს კრიჭაში უდგეს, გასაქანს არ აძლევდენ და ათასგვარ ცილსა სწამებდენ.

ამ უკუღმართ „ბევრის" დევნას მე პირველად ქუთაისში არ განვიცდი: ეს „ბევრი" ყოველთვის მელობებოდა წინ და ყოველთვის თვალის ეკლადაც მივაჩნდი მათ.

სიტყვა, რომ არ გავაგრძელო, მოკლედ მოვჭრი.

ჩემი დევნა დაიწყო ქუთაისშიც იმ დღიდან, რა დღესაც ფეხი შემოვდგი აქ. ის, ვინც ოდესმე გამიმათრახებია ქუთაისის გარეთ და ქუთაისში ცხოვრებით კი ზურგის კანი დაამებია, ან, ვინც წინად არარაობა იყო და დღეს კი აქ—ქუთაისში გაბატონებულა, ისინი, ვისაც სხვისთვის თვალში ჩინი შურთ და სხვისი დამცირებით თავისი უნიჭობისა და „დესეტნიკობის" დამალვას სცდილობენ ხოლმე,—შეშფოთდენ ჩემს დანახვაზე და დაიწყეს ენის სარსარი (ვიმოწმებ ბ-ნ ი. ი. ოცხელს).

მე ეს არცა მწყენია. ქვეყანა ასეა მოწყობილი, რომ ას კაცში სამს ვერა ნახავთ გულწრფელს. ცხოვრების პირობებმა გაგვაფუჭა ყველანი. ტყვილა კი არ შეუქმნია ჩვენ ხალხს ბრძნული ანდაზა: „მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო". მაგრამ საქმეც ის არის, რომ შავი ძალებისაგან შექმნილი სიბნელე ცოტათი მაინც გააშუქო და ჩინურათ აღზრდილ ხალხს ადამიანური ცხოვრების იდეალი დაუსახო.

ჩემი ჩამოსვლის ხანებში ქუთაისის ერთ-ერთი მიმართულების ინტელიგენციას ერთმანეთში განხეთქილება მოსვლოდათ და დაეარსებინათ გაზეთი „იმერეთი".

მოგეხსენებათ, რომ საზიზღარია როგორც „ყალბი სოციალისტი, ისე ყალბი პატრიოტიც...

„იმერეთის" ჯგუფს მიზნათ დაესახა მხილება ყოველგვარი სიყალბისა ხალხის სასამსახუროთ და, როცა ბ-ნმა ვ. წერეთელმა ამ ჯგუფის სახელით რედაქციაში მიმიწვია, სიამოვნებით დავთანხმდი.

ყველგან, ყველა მიმართულებასა და თითოეულ აზრშიაც კი არის ხოლმე ისეთი დეტალები, ისეთი წვრილმანები, რომელსაც შეიძლება არ თანაუგრძნობდეთ, მაგრამ, თუ იდეა, დედა-აზრი შრომამოქმედებისა ხალხოსნურია, მე არ ვიცი, რატომ,—შეძლებისა დაგვარად, არ უნდა ემსახუროს ესა თუ ის კაცი, და ამიტომ მეც დავიწყე „იმერეთის„ რედაქციაში მუშაობა...

გამიტაცა. „იმერეთის" რედაქციის სამსახურმა და ეს რედაქცია და მისი დანიშნულება უფრო მაღლა დავაყენე, ვიდრე ყოყოჩობა და პაპლაუქობა ეგრედ წოდებულ „რედაქციის კოლეგიის" ზოგიერთი წევრისა.

მართლა, მკითხველმა, მგონი კარგად არ იცის: რას ეწოდება ეს სახელი.

რადგანაც ჩვენში მარტო ერთ კაცს იშვიათად შეუძლია გაზეთის გამოცემა, რომელიც დიდძალ ხარჯს თხოულობს, შეიკრიბება ხოლმე ერთად რამდენიმე თანამოაზრე და საერთო ჯიბით უძლვება ხარჯებს. ასეთი ჯგუფი ჰყავდა „იმერეთის" რედაქციასაც. რამდენი კაცი იყო ჯგუფში, ვერ ჩამოგითვლით, მხოლოდ ვიცი, რომ ერთ დროს ექიმი ბადრიძეც წევრად ითვლებოდა რედაქციის კოლეგიისა.

არ ვიცი ისიც, რამდენი წევრი რას იხდიდა, ან როდის იხდიდა ფულს. რედაქციის გაჭირვებას კოლეგიისაგან დაყენებული კაცი მოახსენებდა ხოლმე ბ-ნ ი. ი. ოცხელს, ხან ს. გ. ყიფიანს. ესენივე ჰკრეფდენ საწევრო გადასახადს.

საანგარიშო წიგნები, რედაქციაში მომუშავეთა ჯამაგირის დარიგება და ქაღალდის ყიდვა კოლეგიისგან დავალებული ჰქონდა ვიღაც დარახველიძეს, რომელიც კანტორის გამგეთ ითვლებოდადა, რომელიც იყო **პასუხის მგებელი** კოლეგიის წინაშე ყოველივე ანგარიშებში. ამ გვარათ, არც მე და არც სხვა თანამშრომლებს კანტორასთან არავითარი საერთო არა გვქონია რა. (ვიმოწმებ ი. ოცხელს და ს. ყიფიანს).

რას აკეთებდა ის დარახველიძე, როგორ ხარჯავდა ფულებს, აძლევდა თუ არა ანგარიშს კოლ[illegible] ან კოლეგია სთხოვდა თუ არა მას ამ ანგარიშს, მე არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ დარახველიძე ისეთი დიდი ნდობით იყო აღჭურვილი ბ-ნ ოცხელისა და ყიფიანისაგან, რომ, როცა მე მოვინდომე დარახველიძის დათხოვნა უზრდელობისა და ენატანიაობისათვის (აბეზღებდა ხოლმე თანამშრომლებს, ვინ რამდენს მუშაობს, ვინ რას ლაპარაკობს და სხვა), ბ-ნმა ოცხელმა ეს არ მოისურვა და თვითონ მე იძულებული შევიქენ რედაქციისათვის თავი დამენებებია.

მაგრამ, ბევრით ადრე, ვიდრე რედაქციას თავს დავანებებდი, მოხდა ერთი ინციდენტი, რომელიც ექიმ ბადრიძეს დღესაც აკლიინებს, რომელიც ნებას აძლევს მას ნოტაციები მიკითხოს და „მოღვაწის" სამოსელში გახვიოს.

ერთ დღეს ექიმ ბადრიძეს რედაქციის მდივნისათვის გადაეცა წერილი ვიღაც მღვდლისა და ებძანებინა: „დაბეჭდეთო".

ეს წერილი, როგორც უვარგისი და და „კლიაოზური", მე არ დავბეჭდე.

ეს ძალიან სწყენია ექიმ ბადრიძეს და ისეთი უზრდელი წერილი მომწერა, რომ თუ არ ბ. ბ. სამსონ ყიფიანი და ი. ი. ოცხელი—ზედ თავზე გადავახევდი ექიმ ბადრიძეს. ამისთანა თავხედობას არავის აპატიებენ ხოლმე.

სამწუხაროდ ის წერილი ახლა ხელთ არა მაქვს.

ამ წერილში ექიმი ბადრიძე, მლანძღავს-რა მე „უზურპატორობისა" და კოლეგიის წევრის დაუმორჩილებლობისათვის, სთხოვდა რედაქციას გამოეცხადებინა, რომ იგი კოლეგიის წევრობიდან გადიოდა.

ამ წერილის შინაარსმა ძალიან აღაშფოთა როგორც ბ-ნი ს. ყიფიანი, ისე

სამშობლოს უთხრას, ეს უფრო ნამდვილი იქნება: ქალს, თუ „დღეს ერთი უყვარს და ხვალ მეორე“, სამშობლოს თვისი ერთგული შვილები მარად უყვარს; ასე რომ ჩვენ შეგვიძლია დიდი მგოსნის სიტყვებიც დავუმატოთ „და საფლავში თან ჩამყვება შენი წრფელი სიყვარული“.

***

„სამშობლოს 14 ივნისის (კვირის) ნუმერი მეორე დღეს მომივიდა.

გულმა გაიხარა, როდესაც ისე სუფთად გამოცემული სურათებიანი დამატება ნახა. ვიფიქრეთ ახლაი კი მკვიდრ ნიადაგზე დადგა ჩვენი ახალი მიმართულების გაზეთი და არა თუ რეალურ მიმართულებით, გარეგან შეხედულებითაც თამამად დაიკავებს საქართველოს ყოველ დღიურ გაზეთებში პირველ ადგილს („საქართველოს“ ნუმრები არ მინახავს ჯერ. არც ის ვიცი დამატებით გამოდის თუ არა), თუ ყველა ჩვენი ძალები, ძველი და ახალი მუშაკნი პრესისა, შეერთებულათ და შეთანხმებულათ ითანამშრომლებენ ამ ორ გაზეთში.

დამატებაში ვნახე აქ გაცნობილი, აწ განსვენებული, კარპატებში მოკლული ჩემი ნაცნობი, ძმის მეგობარი, პორუჩიკი თავ. სოსო წერეთელი. თავის დროზე მოვიხსენიე „ახალი ქართლის“ ფურცლებზე გმირულად თავ-დადებული სოსიკო, რომელმაც ზარბაზნებს მაშინაც კი არ დაანება თავი, როდესაც ირგვლივ ყველა შემოეცალენ და მტერთა ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო შეიქნა. გაქცევას—უკან დახევას, სიკვდილი ამჯობინა, რაკი ახსოვდა მამა-პაპისგან ალსარებული პოეტის სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. დიახ, შენი ბატარეის სასახელოთ დასდე თავი დაუვიწყარო სოსიკო, როგორც მრავალი შენი თანამემამულე შეეწირა სხვერპლად ისტორიის უმაგალითო ომს და ვნახოთ რითი გადუხდიან თქვენს საყვარელ სამშობლოს, რომელიც ეგოდენ გყვარებიათ თითქმის ყველა თანამემამულე სამხედრო პირთ.

(ამაში ჩვენ დავრწმუნდით ამ ერთი წლის განმავლობაში, როდესაც შემთხვევა მოგვეცა ახლო გაგვეცნო ბევრი ჩვენი ქართველი სამხედრო პირნი, რომლებზეც უწინ ისეთი აზრი ტრიალებდა ჩვენ საზოგადოებაში, ვითომ ისინი სამშობლოსათვის დაკარგულნი იყვნენ და მათ ქართველური მამაპაპური სისხლი აღარ უდუღდესთ).

***

მოგვივიდა წითელ ქაღალდზე დაწერილი „სამშობლო“-ც, ერთი ხანობა ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თითქოს სამშობლოს შვილების სხვადასხვა ფრონტზე დანთხეულ სისხლს ნაკადულებათ შეერთებულთ დასავლეთ საქართველოს ქალაქ ქუთაისში მორევი დაუყენებია, რომელშიაც გაზეთი ჩავარდნილა და მთლად წითლად შეღებილა, ის კი არა თუ ბატონ ოცხელს რედაქციისთვის გაზეთის ქაღალდი არ მიუცია. ომიანობის დროს დაბალი ხარისხის მეწვრილმანობა დაუწყია და სამშობლოს ინტერესებიც კი დაუვიწყნია. შორიდან, ბრძოლის ველიდან, რას ვუზამთ, გაკიცხვის მეტს რას შემოვუთვლით.

შავი ასოებით დაწერილი თეთრზე უკეთ იკითხება, ვიდრე წითელზე, მაგრამ რა გაეწყობა სირცხვილი მაგისი, თორემ მკითხველი წითელზედაც და ყვითელზედაც წაიკითხავს, რაკი ჭეშმარიტებას და სამშობლოს სიყვარულს ქადაგებს „სამშობლო“. —ნელი.

# მეგობარს.

ნუ, ნუ გგონია, მეგობარო, რომ დავუძლურდი,
რომ ჩაჰქრა ჩემში ბრძოლის ჟინი, ცეცხლებრ ელვარე;
ნუ, ნუ გგონია, მეგობარო, რომ გავხდი მრუდი,
რომ ჟამთა დენას დაუმონე ჰანგი მგზნებარე.

— —

დე, თუ გინდ მტრობდეს ცაც და მიწაც, სულისა ტოლი,
წყევა მესმოდეს მოძმეებისაგან, გულის მომკვლელი;
დე, თუ გინდ დავრჩე მარტოდ-მარტო, დავრჩე ობოლი,
შურით მიცქეროდეს კაცთ სამყარო, მთელი სოფელი.

— —

ვერ რა შემიკრთობს, შემიშინებს გულსა განწირულს,
ვიდრე მიდგია პირში სული, თვალთა მაქვს მზერა;
მარად მოუხმობს ბრძოლის ველზე ტანჯვით განგმირულს
და მშობელთ კერის სულს აღუგზნებს ჩემი სიმღერა.

ალ. რიონისპირელი

# სამკითხველო წყალგალმა ნაწილში.

ბ. ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გახსნას ქუთაისში, წყალგალმა ნაწილში, მესხეთის ქუჩაზე, „ღულაძისეულ“ მოედანთან წიგნთ-საცავ სამკითხველო მასწავლებლის ვლადიმერ ქრისტეფორესძის ნაცვლიშვილის პასუხის მგებლობით. ამ საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად ოთხშაბათს, 22 ივლისს, პეტრეპავლეს სამრევლო სკოლის დარბაზში მოხდა საზოგადო კრება, რომელზედაც თავმჯდომარეთ იქმნა ერთხმად არჩეული თეოფ. ბახტაძე, მდივნათ-ვარ. ლომიძე. განსახილველი იყო შემდეგი საგნები: სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტში თითოეული ქუჩიდან ორი-სამი კაცის არჩევა, ხაზინადრის არჩევა და ერთდროულათ დამფუძნებელ წევრთაგან თითო მანეთის შეკრება. მიუხედავათ იმისა, რომ საზოგადო კრების ნებართვა პასუხის მგებლის გამგის მიერ ერთი კვირით ადრე იყო ნათხოვარი გუბერნატორთან, ქაღალდს მაინც დააგვიანდა და მხოლოდ 22 ივლისს ნაშუადღევის სამ საათზე მოხერხდა ნებართვის აღება, ამის გამო მოწვევა წყალგალმა ნაწილის ყოველი ქუჩა-შესახვევიდან ყველასი არ მოხერხდა და შეუძლებელიც იყო, ამიტომ კრებას დაესწრო 70 წევრიდან სულ 50 პირი, როგორც წარმომადგენელნი. ხმის უმრავლესობით გადაწყდა არჩევნების მოხდენა; სამზრუნველო კომიტეტში აირჩიეს სულ 13 წევრი: თეოფ. ბახტაძე ვლ. შავგულიძე, დეკანოზი ალ შანიძე, კ. კოსტავა, მღ. სერაპ. ცაგარეიშვილი, სიმ. მარჯანიშვილი, არჩილ მიქაბერიძე მიხ. ბოკერია, ვალ. თევდორაძე, ვალ. ჩხაიძე, ვლ. ნაცვლიშვილი, ნინო მდივნის ასული და ნინო აბულაძის ასული; ხაზინადრათ კი ივლიანე ქითავა.

იმ საღამოსვე დამაარსებელ წევრთაგან შეიკრიბა 25 მანეთი, დანარჩენებმაც აღგვითქვეს შემოტანა. სამზრუნველო კომიტეტის წევრთ დაევალა თავიანთ უბნებში წინადადება მისცენ თანამგრძნობელ პირთ და მსურველთ ჩაეწერონ, როგორც დამაარსებელ ისე შემნახველ წევრებათ. რადგანაც ორპირის ქუჩიდან არავინ ყოფილა მოწვეული იმ მიზეზისა გამო, რომ იქაურებს ცალკე განუზრახავთ სამკითხველოს დაარსება, ამიტომ ამორჩეულ იქმნენ ამ ქუჩიდან დეკანოზი ტიმ. კაპანაძე, ლონგ. ჩამაკაძე და ერმ. იაშვილი, რომელთაც დაევალებათ იმ ქუჩის მცხოვრებლებთან მოლაპარაკება იმის შესახებ, ისურვებენ ისინი მონაწილეობის მიღებას „ღულაძისეულ“ მოედანზე სამკითხველოს დაარსებაში თუ არა.

ამასთანავე მომყავს სია იმ პირთა, რომელთაც შემოიტანეს ერთ დროულად თითო მანეთი: 1) ივ. მდივანი, არ. მიქაბერიძე, ამბ. ხვინგია, ერ. ჭავჭანიძე. ნარიმ. დეისაძე, ნინო მდივანი, ნინო აბულაძე, სიმ. მარჯანიშვილი, ნიკო ჟორჟოლიანი, თეოფანე ბახტაძე, ვლ. ნაცვლიშვილი, სარდიო აბზიანიძე, ვარ. თევდორაძე, გერმანე ჯვარიშეიშვილი, აკ. ნაცვლიშვილი, დეკანოზი ალ. შანიძე, კალ. ჩხაიძე, ნოე სვანიძე, პარ. კოსტავა (კოლია) ნიკ. კაშია, ივლიანე ქითავა, ნიკ. ახვლედიანი, და ორი მანეთიც ვლადიმერ კოსტავამ.

მეორე დღეს სამკითხველოს სასარგებლოდ შემოიტანეს: 1) ნეს. შალამბერიძემ,—1 აბაზი, პლ. შალამბერიძემ—5 შაური, პარ. კეპულაძემ—1 აბაზი, ალ. ჟორჟოლიანმა—1 აბაზი, ერ. კეპულაძემ—1 აბაზი, კონსტ. კუხიანიძემ 1 აბაზი, ზაქარია ჩიხლაძემ 1 აბაზი, რაჟ. ჯავახაძემ 10 შაური, რაჟდ. შანიძემ 1 აბაზი, ირ. ბუაძემ 1 აბაზი, ალ. კოხრეიძემ 10 შაური, თევდ. ციცხვაიამ 1 აბაზი, ვარ. კახიანმა 10 შაური, ექვთ. კუპრაშვილმა 10 შაური ამბ. ხვინგიამ 10 შაური, ერ. ჭავჭავანიძემ 10 შაური, ტიმ. ფხაკაძემ 6 შაური, სტ. მურუსიძემ 6 შაური, დავ. მარგველაშვილმა 5 შაური, იოს. მარგველაშვილმა 10 შაური, 21) ბესარიონ საკანაძემ 10 შაური, ნიკ. არსენიშვილმა 5 შაური, დავ. კუპუხიძემ 5 შაური, ანდ. გერაძემ 10 შაური, ერ. გერაძემ 10 შაური, ანტ. ქავთარაძემ 10 შაური, თომა კარანაძემ 5 შაური, სიმ. ძიძიგურმა 5 შაური, ალ. გალდავაძემ 10 შაური, ექვთ. ტოგონიძემ 1 აბაზი, 31) ლარ. ქურციკიძემ 1 აბაზი, გიოგი ერისთავმა 10 შაური, სარ. ხელიძემ 1 აბაზი, გრ. მგალობლიშვილმა 1 აბაზი, ან. კახიანმა 5 შაური, კოსტ. შალამბერიძემ 6 შაური. გრ. გრიქუროვმა 1 ამაზი, თ. მიხ. მიქელაძემ, 10 შაური, თ. გ. ჩიჯავაძემ, 2 აბაზი, თ. გ. წულუკიძემ, 1 აბაზი, ქეიშვილმა, 1 აბაზი, ი. კეპულაძემ, 6 შაური, ზ. [illegible] აბაზი, მიხ. ნიკოლაძემ, 10 შაური.

ეს ფულები 24 ივლისს [illegible] კრებელმა სამზრუნველო კომიტეტის წევრმა ვარლამ თევდორაძემ; როგორც ეს, აგრეთვე პირველ დღეს შემოსული ფული გადაეცა შესანახად ხაზინადარს ივლიანე ქითავას.

დასასრულ, სამზრუნველო კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც თანაუგრძნობს ასეთ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებას, ნუ დაიშურვებს თავის წვლილს ამ კეთილი საქმისთვის, როგორც ფულით ისე წიგნებით, ჟურნალ გაზეთებით და მწერალთა სურათებით. თუ როგორ უნდა გამოიგზავნოს შეწირულება, ამის შესახებ ყოველივე ცნობებს და მისამართს ამ დღეებში ვაცნობებთ პატივცემულ საზოგადოებას დაწვრილებით.

სამზრუნველოს მონდობილობით

ლადო ბზვანელი.

# მოკლე შენიშვნა.

(ბ. ბადრიძის წერილისა გამო).

ყველაფერს მოველოდი და ის კი არ მეგონა, თუ ბ. ბადრიძე ნებას მისცემდა თავის თავს და გაზეთის ფურცლებზე მოათავსებდა ისეთ სიყალბეს, მეტი რომ არ ვსთქვათ, რომელიც მან ინება ბ. იაკობ ცინცაძის სახალხო უნივერსიტეტში მოღვაწეობის-გამო. როგორც გამგე იმ სკოლისა, სადაც იყო მოთავსებული ეს კურსები, ყოველ დღე ვესწრებოდი გაკვეთილებს და ვისმენდი როგორც ბ. ცინცაძის, ისე სხვა ლექტორების ლექციებს, მაგრამ გარდა კარგისა არაფერი „მოსაგონებელი“ არ არის, რადგან მსმენელები ბევრი ესწრებოდა ბ. ცინცაძის ლექციებს და გულმოდგინეთ ისმენდენ მათ. მხოლოდ შემდეგში, თუ ერთმა ჯგუფმა პარტიულის მოსაზრებით კინკლაობა დაუწყო ბ. ცინცაძეს, ეს ჩემის ფიქრით, არ უნდა ჩაეთვალოს მას, ბ. ცინცაძეს, დანაშაულად. მით უმეტეს. რომ პრინციპიალურის მხრით თუ ვისკენ იყო სიმართლე, ეს ჯერ ბ. ბადრიძეს არ უნდა ქონდეს ახსნილი.

ვსთხოვ „სახალხო ფურცელს“ გადაბეჭდოს ეს წერილი.

მასწ. ანტონ ოდიშარია.

ბ-ნი ი. ოცხელი დანაგვის გოდრის ღირსათ სცნეს. (ვსთხოვ დასახელებულ-პირთ, ეს ფაქტი დამიმოწმონ).

მოგეხსენებათ, როცა გემი იღუპება, ვირთხები პირველად გარბიან ხოლმე.

იმისდა მიუხედავათ, რომ ჩვენი „გემი“ გაზეთი ბლომად გადიოდა,—ეს გემი დარახველიძის ხელში ქონებრივად მაინც იღუპებოდა. კოლეგიას დიდი ხარჯი მოსდიოდა, რის გამოც წევრთა შორის მუდამ უკმაყოფილება იყო. სხვათა შორის, უკმაყოფილო იყო ექიმი ბადრიძეც. და, თუ იგი კოლეგიიდან გავიდა, გავიდა იმიტომ კი არა, რომ **მე ვარ იმის მიზეზი**, როგორც კადნიერათ ბრძანებს ექიმი ბადრიძე, არამედ წავიდა იმიტომ რომ, როგორც კოლეგიის წევრს **ფულის გადახდა ეზარებოდა**, ენანებოდა, და რომ დაემალა თავისი ვერცხლის მოყვარეობა, თვით იმ იდეასაც კი დაწუყო ლანძღვა, რომელსაც ვითომდა ემსახურებოდა (მოწმეები: ი. ოცხელი, ს. ყიფიანი, ექიმი წერეთელი).

არიან ისეთი ტიპები, რომლებიც ჩიკორივით დატრიალდებიან, ოღონდ მათ ჯიბეს არა დააკლდეს რა და თან „მოღვაწის“ სახელიც კი შერჩესთ.

ასეთი ტიპია ექიმი ბადრიძეც. მიკვირს, რომ ასეთი ზნე-ქვენა ადამიანი, ასეთის რიხით ლაპარაკობს.

ზემოდ მოგახსენეთ, რომ „იმერეთის“ რედაქცია დარახველიძის ხელში ქონებრივათ დაღუპვის გზას დაადგა მეთქი.

რამდენი არ ვეცადე მოეკითხათ სრული ანგარიში დარახველიძისათვის, რამდენი არ ვუმტკიცე ბ-ნ ი. ოცხელსა და ს. ყიფიანს, რომ არ უნდა გვქონდეს მეთქი ამდენი ხარჯები,—ვერას გავხდი და ისევ დარახველიძე გამოდიოდა გამარჯვებული.

ამ დროს დაიწყო გამოცდები ჩვენს გიმნაზიაში, მოვიდა ცნობილი კორიცკი, დაითხოვეს ი. ოცხელი და სილოვან ხუნდაძე, მე დავსწერე ის „ცნობილი“ წერილი, რომელმაც ბევრი უშველა ბ. ი. ოცხელს, ❦ რომელიც მე-კისასაყვედუროთ გამიხადა და „იმერეთი“ დაკეტეს.

„იმერეთის“ მაგივრად გამოვიდა „ახალი ივერია“, რომლის იურიდიული რედაქტორიც იყო დარახველიძე.

რაკი ოფიციალური რედაქტორობა ჩაიგდო ხელში დარეხველიძემ, არამც თუ ანგარიში არ გაუწია კოლეგიას, არამედ გაიტაცა გაზეთი, **მისი ინვენტარი** და გადასცა სრულიად გარეშე პირებს,—მოწინაამდეგეთ „იმერეთის“ ჯგუფისას.

ასე დამთავრდა პირველი ეტაპი „იმერეთის“ ჯგუფის გამოსვლისა. შეიბღალა ის იდეა, რომელსაც ვემსახურებოდით, წაიბილწა ტაძარი წმინდა და დაიმსხვრა კვარცხლბეკი იმედებისა.

როგორ შეხვდა ამას კოლეგიის წარმომადგენელი ბ-ნი ი. ოცხელი?

დარახველიძის დასჯის მაგიერ, რამდენიმე თვის შემდეგ მისი ვალები—რომლის ასავალ-დასავალიც არ ვიცოდი, თავისი ძმის დავითის პირით მე წამომაკეცა და ცენზორის დახმარებით ჩემსავე გაზეთში გამლანძღა.

განა ამის შემდეგ ნება აქვს მაკიჟინონ ვიღაც ბადრიძეებმა, ი. ოცხელი დახმარებას გიწევდაო“...

განა ეს დავიმსახურე იმ განუწყვეტელი შრომისათვის, რომელსაც მე ვეწეოდი „იმერეთის“ რედაქციაში, თითქმის უსასყიდლოთ?

— თვეში დამინიშნეს სულ რაღაც ხუთი თუმანი. დილით საღამომდე ვმუშაობდი, და იმის მაგივრათ, რომ მადლობა მაინც გადაეხადნათ, ექვს თვეში სულ სამი თვის ჯამაგირი არ მომცეს და მერე დარახველიძე—ბადრიძეების სალანძღავათ გამხადეს...

განა ამასა ჰქვიან დახმარება,-მეცენატობა? განა ამის შემდეგ ხმა კი ამოეღებათ ჩვენებურ ყალბ-პატრიოტებს, როგორიც არიან ბადრიძე და კომპანია?...

მაგრამ მე ვითმენდი, ვითმენდი ყოველიფერს, ვითმენდი იდეის გულისათვის.

ბ-ნ ოცხელის მახლობელნი ავრცელებენ ხმას, რომ ი. ოცხელმა რამდენიმე ათასი მანეთი დახარჯა „იმერეთის“ რედაქციაზე, „სამშობლოც“ ფეხზე დააყენა და გაუტანელმა ი. ცინცაძემ კი არ დაუფასო.

მე დღეს მტკიცე საბუთი მიპყრავს ხელში, რომ ი. ოცხელი ერთ გროშსაც არ დახარჯავდა თავისას, მაგრამ მთელი თავისი ქონებაც რომ გადაეგო დარახველიძეზე, მე რათ უნდა მესაყვედუროს?

თქვენ ეს მიბრძანეთ, მე რა მომცა, მე რა გამიკეთა კარგი ჩემი იმ მუდმივ შრომისათვის, რომლის მოწმეც ის და მისი მახლობელნი იყვნენ, თორემ ი. ოცხელს, რომ თავისი კომბინაციები ჰქონდეს, ამას ვერც „მოღვაწეობათ“ ჩავუთვლი და, ბადრიძეების გარდა, ვერც ვერავინ ჩამათვლევინებს, თუმცა პირადათ იმისიც მადლობელი ვიყავ, რასაც აკეთებდენ, რადგანაც რედაქციის მიმართულების განხორციელებას ასე თუ ისე ხელს უწყობდენ.

თუ გარეშე პირები ამბობენ,-რომ ბ-ნმა ოცხელმა ათასები დახარჯა რედაქციაზეო, მე ვამტკიცებ რომ ჩემთვისა და ჩემი რედაქციისათვის არაფერი შეუწევნიარა.

**აი სრული ანგარიშიც**: „ახალი ივერიის“ დარახველიძეზე გათხოვების შემდეგ ყაიდალა ახსნეს „იმერეთს“ და 1914 წლის ექვსი იანვრიდან კვლავ დავიწყეთ მისი გამოცემა. (იანვრის გასულს „იმერეთი“ კვლავ დახურეს და გამოვეცი „სამშობლო“).

ბ-ნმა იოსებ ოცხელმა რედაქციას ასესხა ორმოცი თუმანი (ოცი ერთხელ-ოცი მეორეთ*) ითავდება ბ-ნ პ. ი. გოკიელის წინაშე ბინის ქირა და ერთი თვის ქირაც ექვსი თუმანი გადაიხადა. მაშასადამე, პირველ ხანებში „იმერეთის“ განახლებისას, ბ-ნმა ი. ოცხელმა ბ-ნ ს. ყიფიაიანის დახმარებით შემოიტანა ორმოცდა ექვსი თუმანი. ამ ფულში იანვარშივე **ჯამაგირიდან დამიჭირა სამი თუმანი**

იმავე თვეში თუ ცოტა გვიან იოსებმა ამ ვალში აიღო ქართველთა შორის წ. კითხვის საზოგადოებიდან (ბიბლიოთეკების ხელის მოწერის ფული) 7 თუმან ნახევარი, ბ-ნ ჯაიანის დასაცავათ გამომართვა **ათი თუმანი**; (ბ-ნი ჯაიანი დროებით რედაქტორი იყო „იმერეთის“ და პასუხის გებაში მისცეს თვით ოცხელის გამო დაბეჭდილ წერილისათვის), იანვრიდან დაწყებული ივნისის ნახევრამდე (ვიდრე კონფლიქტი მოგვიხდებოდა და გაჯავრებით შემოგვითვლიდა „ჩემს განცხადებებს ნუღარ დაბეჭდავთო) ყოველდღე იბეჭდებოდა სამ-სამი მისი განცხადება. ამ განცხადების დაბეჭდვის ფასი პეტიტით რომ ვიანგარიშოთ ღირს **ოთხმოცდა ოთხი თუმანი**, მაგრამ რედაქციის მდივანს მისთვის მხოლოდ 14 თუმნის ანგარიში წარუდგენია. აიღო აგრეთვე ნახევარ წლის ოცი მასწავლებლის ხელის მოწერის ფული 80 მ.

ახლა თქვენ გკითხავთ—დაუხარჯავს რამე ბ-ნ იოსებს ჩემს რედაქციაზე და ან რა ნება აქვს ექიმ ბადრიძეს და მის მსგავსებს, მიკიჟინონ ი. ოცხელს დიდი ღვაწლი მიუძღვის თქვენის გაზეთის წინაშე და თქვენზედაო...

თუ ფულის სესხება და მერე იმისი ანაზღაურება, ისეთ დროს, როცა მე ტელეგრამებისა და ფოსტის ფულს ქუჩა-ქუჩა დავეძებდი მოღვაწეობაა, თუ ამისთანა დახმარება, **დხმარებაა**, თუ ამისთანა საქციელი გაზეთს **ფეხზე** დააყენებდა, მაშინ რაღა მეთქმის—თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

ხოლო თუ ამისთანა მოქმედება მარტო ყალბი მოღვაწეობაა, თუ ამისთანა მოქმედება მარტო მოჩვენებაა და საზოგადოების თვალის ახმაა, მაშინ ნება მიბოძეთ ბუდდას ხატებასავით შემოგძახოთ თქვენ, ყალბო პატრიოტებო:

— თქვენ სტყუით ჩემთან!

რაც შეეხება პირადათ ჩემ დახმარებას, აქაც ბევრი არა გაუკეთებია რა ჩემთვის.

რუსეთის მთავრობამ უნივერსიტეტის დიპლომის ღირსად მიცნო სასწავლებელში მასწავლებლად დამნიშნა და ბ-ნმა იოსებ ოცხელმა კი დიპლომიც დამიფულა და სასწავლებლიდანაც კი დამითხოვა!...

რათ ძომექცა ასე ბ-ნი იოსები? ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ჩემის ღრმა რწმენით [illegible] კისერზე გადაიგდეს იმათ, ვისაც ჩემი თავიდან მოშორება უნდოდათ, თვით [illegible]რიგანებმა, უნიჭოებმა და გლახაზე უგლახესებმა...

მაგრამ, იმედია, კვლავ შევხვდები იმათ ცხოვრების სარბიელზე.

— —

ახლა ორიოდე სიტყვა თვით ექიმ ბადრიძეს.

თქვენო ექიმობითი აღმატებულებავ! სამწუხაროთ თქვენდა და „სახალხო ფურცლისა“ თქვენ „კარგად ვერ გაგირკვევიათ ჩემი პიროვნება“ და არც არაფერი დამიკარგავს რა თქვენი წასვლით.

მე მომშორდენ მხოლოდ ყალბი მოღვაწეები, გულუბრყვილო მოჯამაგირეები, და უნიჭო კომპილიატორები.

თუ თქვენი ექიმობითი აღმატებულება კეთილ ინებებს ❦ შემოიხედავს ჩვენს რედაქციაში, დაინახავს, რომ რედაქცია დიდებულათაა მოწყობილი.

— რედაქციის პორტფელი სავსეა მასალებით.

— გარს მახვევია საუკეთესო ძალებიახალგაზრდობა და გამოცდილი ლიტერატორები.

— ჩემს გარშემო შემოკრბენ ნამდვილი მეცენატები და არა გროშისათვის მოტირალნი.

— ამ ცოტა ხანში, თუ დაბარებული ქაღალდი მოგვივიდა, მივსცემ ჩემს გაზეთს მეორე სურათებიან დამატებასაც (ხუთ შაბათობით), გამოვცემ მას უქმეების შემდეგ დღეებშიც, და იმუშავებენ ისეთი მწერლები და იქადაგებენ ისეთ ჭეშმარიტებას, რომლის წინაშეც ისე გაჰქრება ყოველივე სიყალბე, უტიფრობა, ავკაცობა, გოროზობა და თვალთმაქცობა თქვენისთანებისა, როგორც ქაფური, როგორც შარშანდელი თოვლი.

მაშ, ნახვამდის.

იაკ. ეკალაძე—ცინცაძე.

*) მეორე ოცი თუმანი ს. გ. ყიფიანის იყო.

# წერილი ზესტაფონიდან.

21 ივლისს დაბა ზესტაფონში არგვეთის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრება მოხდა. არგვეთის საბლაღოჩინო, იმერეთის ეპარქიაში, თითქმის ყველა საბლაღოჩინო ოლქებზე უფრო პატარაა. სულ თექვსმეტი შტატის ეკლესია შედის ამ საბლაღოჩინოში. მიუხედავათ ამისა, ხსენებული კრება, აღნიშნული საბლაღოჩინოისა, მეტათ ფხიანი და შეგნებული იყო, კრება ბლაღოჩინმა მ. ლავრენტი ფერაძემ გახსნა, სასულიერო მთავრობის წარმომადგენელმა ორი უმთავრესი კითხვა დაუყენა კრებას გადასაწყვეტათ. პირველი-სახელმწიფო საბჭოს წევრის ამორჩევა თეთრი სამღვდელოების მხრით და მეორე-დაჭრილ მეომრებთა დახმარება, სახელმწიფო საბჭოს წევრათ კრებამ ერთხმად ამოირჩია დიდათ პატივცემული დეკანოზი, საქართველოში კარგათ ცნობილი, ქუთაისის რეალური სასწავლებლის სადვთო რჯულის მასწავლებელი მ. გაბრიელ ცაგერეიშვილი და ამით მან, კრებამ, თავის მხრით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძირი გამოუთხარა ვოსტორგოვის კანდიდატურას. დაჭრილი მეომრების დახმარებისათვის სამღვდელოებამ თავის ჯამაგირიდან თითო % გადასდვა. კრება ამითი უნდა გათავებულიყო, რომ ორ მღვდელს არა. სახელდობრ მღვდელმა მ. კ. ანთაძემ აღძრა საკითხი სასულიერო ორგანოს დაარსებისა და მღ. მ. ბუ—ძემ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების შესახებ, სასულიერო ორგანოს თაობაზე კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მარტო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება, წინასწარი ხელის მოწერის საფასით, და თავის გონებრივი ძალებით ვერ უზრუნველ-ყოფს ისეთ სერიოზნულ სასულიერო ორგანოს, რომელიც მთელი შეგნებული ქართველების ყურადღებას მიიპყრობს და სიმპატიას დაიმსახურებს, ამისათვის საჭიროა, მთლათ ქართველი სამღვდელოება შეერთდეს და ქართველი პროფესორებისა და მეცნიერების დახმარებით გამოიცეს ერთი სერიოზული ორგანო. და თუ ასე მოგვარდება საქმე ერთი ორად მეტ ფას გავიღებთო.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გაცნობამ დიდი ენტუზიაზმი და ეროვნული იდეალების მისწრაფება გამოიწვია კრებაში. ყველამ ერთხმად განაცხადეს წევრებათ ჩაწერა. იმავე დღეს ჩაეწერენ და საწევრო ფული ორ-ორი მანეთი გადასცეს მღ. მ. ბუაჩიძეს საზოგადოებაში გასაგზავნათ შემდეგმა პირებმა:

ბლაღოჩინმა მ. ლავრენტი ფერაძემ, მღვდლებმა მ. ვლადიმერ აბულაძემ, ირაკლი გურგენიძემ, ნიკოლოზ მაჩიტიძემ, ისიდორე კოჩიაშვილმა, იოსებ ბარბაქაძემ და მედავითნე კონსტანტინე ამირანაშვილმა. აღნიშნული თოთხმეტი მანეთი დანიშნულებისამებრ გაიგზავნა. სასურველია და დიდათ საჭიროც, რომ დანარჩენმა ქართველმა სამღვდელოებამ არგვეთის საბლაღოჩინო ოლქისამ სამღვდელოებას მიბაძოს.

მ. ფარცხნალელი.

# განათლების მინისტრის განკარგულების გამო.

ფრიად საყურადღებო და დიდათ მნიშვნელოვანი ამბავი მოგვიტანეს გაზეთებმა შესახებ სამღვთო—სჯულის სწავლებისა სამშობლო ენაზე საშუალო სასწავლებლებში. იმ გიმნაზიებშიო, ვკითხულობთ ამ განკარგულებაში, სადაც არარუსთა ელემენტები 50 პროც. იქნება, სამღვთო-სჯულს სამშობლო ენაზე შეისწავლიანო. (იხილ. გაზ. „სამშობლო" № 25.

უეჭველია, ეს განკარგულება გავრცელდება, როგორც სავაჟო ისე, ქალთა გიმნაზიებში, და აგრეთვე სამოქალაქო, თუ პირველ დაწყებითი საქალაქო სასწავლებლებშიაც.

ამ ჟამად ჩემი განძრახვაა შევეხო ამ საგნის სწავლებას ჩვენს, ქართულ, სასოფლო ორ კლასიან სასწავლებლებში. ხსენებულ სასწავლებლებში დღემდის სამშობლო ენაზე გადიოდენ ამ საგანს მხოლოდ პირველ ორ განყოფილებაში ან და, იშვიათად, მესამე განყოფილებაშიაც (სულ ექვსი განყოფილებაა) დანარჩენებში კი სადვთო სჯული ბავშები გადიოდენ რუსულ ენაზე. წარმოუდგენელია ის სიძნელე და გაჭირვება, რომელშიაც ვარდებოდენ მოსწავლეები ამ საგნის რუსულ ენაზე გავლით, ისიც სასოფლო სკოლაში.

ამიტომ საჭიროა ამ დიდმნიშვნელოვან გარემოებას ახლავე მიაქციონ ყურადღება ეპარქიის ეპისკოპოსებმა და დაუყონებლივ აღძრან შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, ან მათი თაოსნობით მოხდეს სადვთო სჯულის მასწავლებელთა კრება, რომ შეიმუშაონ გეგმა სადვთო სჯულის სწავლებისა ქართულ ენაზე ხსენებულ სკოლებში.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

# დაბა-სოფელი.

**ოდიში.** ს. დიდი-ზანა. (ზუგდიდის მაზრა).

ვინც კი დააკვირდება ჩვენი სოფლის მაჯისცემას, მეტათ უნუგეშო სურათი წარმოუდგება თვალწინ.

სოფელი უვიცობის წყვდიადში იხრჩობა და მშველელი კი არსაიდან არა სჩანს. აქამდი დიდის ვაივაგლახით მოყავდათ საკმაო სარჩო, გასულ წლის მოუსავლობისა გამო, დღეს ჩვენი სოფელი შიმშილობას განიცდის. ვისაც უმგზავრია სამეგრელოს სოფლებში ამ უკანასკნელ ხანებში ის შეამჩნევდა გრძლათ გაზაწრულ მეგრელებს, რომელნიც მიდიან მახლობელ დაბაში პურის ფქვილის საყიდლათ რაც იშვიათი მოვლენაა სამეგრელოში, მაგრამ რა ქნას საწყალმა გლეხმა, შიმშილმა მოთმენა არ იცის, და გლეხიც მიდის ჩარჩთან, ყიდის ნახევარ ფასათ თავის მარჩენალ ხარს და ამ ფულით ყიდულობს პურის ფქვილს, რადგანაც სოფელში გასაყიდი სიმინდი არ იშოვება და ვისაც აქვს, ისინიც სარგებლობენ შემთხვევით, სიმიდს მალავენ და ფასის მომატებას უცდიან.

სოფლებში ამ ჟამათ, ყველაფერი გაძვირდა, ამის დასამტკიცებლათ ჩვენ შეგვეძლო მრავალი მაგალითი მოგვეყვანა.

გლეხები ამბობდენ, ღმერთმა წელს მაინც თუ კაი მოსავალი მოგვცა, ახალ მოსავლამდი გავიტანთ როგორმე თავსაო, მაგრამ ახლა ეს უკანასკნელი იმედიც მოისპო, რადგანაც ივნისის ნიაღვრებმა ერთიანათ გააფუჭა ნათესები. ამ სოფელში სამი მდინარეა: ცივი, ხობის წყალი და ზანა, რომლის ნაპირებზედაც აქვთ გლეხებს უმთავრესი საყანე ადგილები, და წელს კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ადიდებულმა მდინარეებმა ნაპირებიდან გადმოხეთქა და ამ რიგათ ულმობელმა სტიქიამ შთანთქა გლეხის სარჩო-საბადებელი. გლეხები საგონებელში არიან ჩავარდნილი და არ იციან რა გზას მიმართონ, ან როგორ მოიქცენ. ცხენს, ძროხას, ხარს, ყიდდენ და სიმიდს იმით ყიდულობდენ და აწი კი რა გაყიდონ, როდესაც არაფერი გააჩნიათ?

ადგილობრივმა გლეხებმა ითხოვეს მთავრობის წინაშე დახმარება. ხაზინამ გაიღო სესხის სახით ორი ათასი მანეთი, რომელიც გაუნაწილეს კიდეც გლეხებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულის განაწილება არ სწარმოებდა წესიერათ; ფული ასეთ პირებს დაურიგეს, რომელნიც სრულებით არ საჭიროებდენ დახმარებას (რაც ბევრმა ფულის მიმღებმა განაცხადა კიდეც მამასახლისთან) უკანასკნელებმა მიღებული ფული გაასესხეს სარგებლით, რაც არა სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოთ ცრუმორწმუნეობას და სხვა მრავალ ძველ ტრადიციას მაგრათ აქვს ფეხი გადგმული ადგილობრივ მკვიდრთა შორის.

სოფლის სხვა და სხვა ჩვეულების მავნებლობა შეიგნო ადგილობრივმა ინტელიგენციამ და განიზრახა „ჩვეულებრივი" ტირილის მოსპობა, მაგრამ ამ კეთილ განზრახვას ბევრი გლეხთაგანი გადაეღობა წინ.

საჭიროა მღვდლებმა და მასწავლებლებმა, რომელნიც ხალხთან დაახლოვებულნი არიან და ცოტათ თუ ბევრათ იცნობენ მას, აუხსნან ამგვარი ჩვეულების მავნებლობა, რომელიც ისედაც გალატაკებულ გლეხს ვალში აგდებს და დაღუპვის გზაზე აყენებს...

ეს სოფელი კულტურულათ ჩამორჩენილი არაა: არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი სამი მასწავლებლით, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, აფთიაკი და სხვა.

განიზრახეს უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება, რისთვისაც თხოვნა გაგზავნეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებასთან და ნება რთვას ამ მოკლე ხანში მოელიან.

განზრახვა აქვთ აგრეთვე კოოპერატიული დუქანი გახსნან, კარგი იქნება თუ ეს განზრახვა განზრახვათ არ დარჩა და საქმეთ იქცა.

ეს მესამე წელია, რაც ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზდობა ზაფხულობით წარმოდგენებს აწყობს, უნდოდათ წელსაც გაემართათ წარმოდგენა, მაგრამ ნება არ დართეს. შარშან გამართულმა წარმოდგენამ ბიბლიოთეკის სასარგებლოთ წმინდა შემოსავალი 25 მანეთი დასტოვა, რომელიც ინახება ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობაში.

სოფელში მისასვლელი გზები და ბოგირები ბევრ ალაგას გაფუჭებულია და კარგი იქნება ადგილობრივი სოფლის მამასახლისი ფ. ტყებუჩავა მიაქცევდეს ყურადღებას და გზებს შეაკეთებდეს.

ილია ზანის პირელი.

— —

**ს. სიმონეთი.** (ქუთ. მაზრა). დღეს ყველა იმაზე ლაპარაკობს და სწერენ, თუ როგორი შედეგები მოყვა ამ საშინელ ომს: მუშა ხელის ნაკლებობა, პირველ მოთხოვნილების საჭირო საგნების სიძვირე და სხვა. ამას ზედ დაერთო არაჩვეულებრივი ნიაღვრები და წყალდიდობა, რამაც მთელს ქუთაისის გუბერნიას საგრძნობი ზარალი მიაყენა. ხშირმა წვიმამ ვენახებიც დიდათ დააზარალა, რის დამუშავება, ჩვეულებრივზე ერთი ხუთად და ათად დაუჯდება მშრომელ ხალხს და დღეს კი ზოგი ადრევე ობით (უაიტროტ) და შემდეგ ნაცარმა (ოიდიუმ) გაანადგურა. მაგრამ ამ უბედურებასთან ერთად ხშირ მოვლენათ გადაიქცა „შანტაჟი". პირველათ შანტაჟისტებმა ჩხარის საზოგადოებაში დაიწყეს საგმირო მოქმედება და შემდეგ რიონის საზოგადოებაში იჩინეს თავი. სოფ. ეწერში 13 კვირკობისთვეს დაღამებისას, შეიარაღებულები აშკარათ რამდენსამე პირთან პირდაპირ მივიდნენ და მოსთხოვეს ფულის გადახდა დანიშნულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრენ სიკვდილით.

ხალხი სდუმს, რა გზას დაადგეს, არ იცის. საჭიროა მჭიდროთ შეკავშირება ხალხისა და მთავრობის, თორემ უარესი დღე მოელის ხალხს ამ ნაძირალა ვაჟბატონებიდან.

Coteli.

# ღია წერილი

**ბბ. ჩხენკელსა და გძელიძეს.**

აგერ ერთი თვე გადის თითქმის მას შემდეგ, რა რომ ჩვენი სულმნათი მგოსნის აკაკი წერეთლის სახსოვრად სალიტერატურო საღამო გაიმართა დ. ჩხარში. შემოსულ ფულს, როგორც წინა წერილში ვსწერდი, ორი დანიშნულება ჰქონდა. ამდენი ხანი გადის აგერ და არავითარ ანგარიშს არ იძლევიან არც პრესის საშუალებით და არც კერძოდ საღამოს ოფიციალური მეთაურები. თუ რომელიმე ჩვენთაგანმა კითხა მათ ამის შესახებ, პასუხი მზათა აქვსთ: „дефицитъ". ბატონებო! მომიტევეთ, რომ გავკადნიერდი და პრესის საშუალებით გეკითხებით: სირცხვილია, კმარა, ერთი თვე გადის და ანგარიშს რატომ არ აქვეყნებთ პრესის საშუალებით?! წმინდა შემოსავალს რისთვის არ აგზავნით დანიშნულებისამებრ?! თქვენ რომ მარტო „дефицитъ"-ი იძახოთ, ის ვერ გიშველისთ; საჭიროა ვრცელი ანგარიში საზოგადოების წინაშე და არა მარტო „дефицитъ"-ი. ჩვენ დარწმუნებული ვართ იქ არავითარი დეფიციტი არ იქნებოდა, რადგან ხალხი ერთობ ბევრი დაესწრო და ბილეთები ძალიან ბევრი გაიყიდა. მთელი იქ დამსწრე საზოგადოება მოუთმენლათ ელის თქვენგან ვრცელს ანგარიშს და იმედია არც თქვენ დაუყოვნებთ ჩვენს სამართლიანს მოთხოვნას. თუ რაიმე დაგეხარჯათ მართლაც და შემოსულმა ფულმა ხარჯი ვერ გაასწორა, იმ შემთხვევაში უტყუარი საბუთები წარმოგვიდგინეთ და ჩვენც გავჩერდებით! წინააღმდეგ შემთხვევაში სულ სხვა გზას მივმართავთ და მერე ჩვენი ბრალი არაფერი იქნეს.

ველით დაუყონებლივ პასუხს.

ი. ძერულისპირელი.

# წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო თ-დ. ადიუტანტ კ. დ. ნიჟარაძეს და აგრეთვე მათ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოგვწირეს დამა იგდირიდამ ჩვენ ზედა მაღლაკის წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ თავისი წვლილი:

აქვე მოგვყავს შემომწირველთა სია;

პოლკოვნიკმა თ-დ. ალექსანდრე დ. ჩიქოვანმა—5 მ., თ-დ. ქრისტე დგებუაძემ—3 მ., თ-დ მერზაყან ბ დადეშკელიანმა—3 მ., კაპიტონ. პ. ა. დაცოვმა—3 მ., პრაპორ. კ. დ. გოცირიძემ—3 მ., გრ. კ. გუგუშვილმა—3 მ., ფ. სირაძემ—3 მ., ს. დ. გაპოძემ—2 მ., ა. კარეტინმა—3 მ., ევსევი ფ. ნიჟარაძემ—3 მ., კ. დ. ნიჟარაძემ—6 მ., სულ 38 მანეთი.

ზედა მაღლაკის სამკითხველოს გამგეობის წევრი. **ქნ. ელენე ნიჟარაძისა.**

— —

პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

„სამშობლოს" 137 24 ივლისის ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, ცნობა ყვირილიდან, აქაური კინემატოგრაფის შესახებ. სჩანს ახალ ამბის მომწერი დიდი თხუნჯი ვინმე უნდა ბძანდებოდეს, კინემატოგრაფის დაარსებას აწერს ისეთ პირთ რომელთაც აზრადაც არ მოსვლიათ ყვირილაში პროჟექტორის დაარსება და მეორე ისა, რომ დაკეტვა კინემატოგრაფისა მიზეზი არ არის ზარალისა, არამედ ყვირილაში არსებულ ელექტრონის სადგურის მანქანების დამტვრევისა.

პატივისცემით **ბ. ლამბაშიძე.**

— —

**ბ. რედაქტორო!** უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ კატო ჟორჟოლაძის ქვრივს, რომელმაც შემოსწირა 65 მანეთად ღირებული წიგნები საფირჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს, მისი შვილის, აწ განსვენებულს გიორგი ჟორჟოლაძის დატოვებული.

სამზრუნველო კომისიის თავჯდომარე **აკაკი ნაშნიანიძე.**

# სია.

შემდ. იხ. 136-ე №

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ [illegible] მაისს გამართულ სეირნობა-ლოტერეისათვის შემოსწირეს: ცერეკიძის ბამბუკის მაღაზიმ საწიგნე—(ეტაჟერკა) პეტრე ტოროშელიძემ—ქაღალდი კონვერტები და 2 გირვ. კანფეტი ვარლამ, ახვლედიანი—პირსაბანი საპონი, საწერი ქაღალდი, კონვერტები, ბელჭი ჯაიანი—ბავშვის ტუფლები თომა ფორცხალაშვილი—10 ბოთლი ყიფიანის ღვინო, ალექსანდრე კოსტავა—მაჯისა და გულის აბნევები (ზაპონკები) და 2 ჯოხი. ფიზიცკი—ძეწკვი, არონ ციციაშვილი და ძმები—4 საბლუზე სხვადასხვა ჩითი და 6 არშინი კუმაჩი, რაფიელ მოშას ძე რიჟინაშვილი 4 აბრეშუმის ბაღდათი, თეთრი აბრეშუმის ყელსახვევი შარფი და 10 არშ. საბლუზეები, მიხეილ მოშიაშვილი—3 მან. ევსევი შათირიშვილი—თეთრი ყაბალახი და ბოქლომი, არსენ გოგოლაშვილი—სარკე, საფულე, ჩოთქი, ჯაყვა, ქინძისთავები და შალვრის ასაზიდი (ПОДТЯЖКИ) ძმ. კოსტავები—1 მან. ქეიშვილის ღვინის სავაჭრო—1 მან. კირ. შათირიშვილი—2 პირსახოცი, პოლოს აშიანცი—37 ცალი ექსეული თეთრი ქაღალდი, ქშონზერის მაღაზია—ნემსები, 1 დიდი მორგვი ძაფი, ჯაყვა, მარდახ ფიჩხაძე—20 არშინი ფართო ატლასის ლენტი, გაბრიელ ხანანაშვილი—შარფები, კონვერტი, გასახვევი ქაღალდი, ქ-ნ. მარიამ ღოღობერიძის მეუღლემ—3 მან. ფულათ, მანვე მოაგროვა: სოფიო საბახტარაშვილის მეუღლისაგან 3 მან. და 2 სადარბაზო სურათების დასაწყობი საინი, ფეოდოსი გაბუნიას მეუღლისაგან 2 ფინჯანი ლამბაქით, 2 საბლუზე ჩითი, ოლიმპიადა ღოღობერიძის ასულისაგან 7 საყმაწვილო წიგნაკი, პატარა ნოხი კი ოლღა ელიავასაგან.

კნიაჟნა ქეთო აკაკის ასულმა ნიჟარაძემ—წერილების პორტფელი და 2 საათის ჩასადები ხავერდის მოქარგული. ქ. ოლიმპიადა დოლაბერიძის ასულმა შეაგროვა:—სოფიო დოლაბერიძისამ—6 ხილის სალფეტკი, ზინაიდა კობახიძის ასულმა—ორი ბალიში, ჩასატანებელი პროშივკა და 1 პატარა ნაქარგი სალფეტკი, ბარბალე კობახიძის ასულმა—1 ნაქარგი ლიფი, ნინო ხეთერელისამ—1 საბლუზე ჩითი. ანნა აბულაძის მეუღლემ—1 ფინჯანი ლამბაქით, კატო მამაგეიშვილის ასულმა—1 სარძევე. ესფირა კოგანოვისამ—1 ქანდაკება მატრონე გოკიელოვისამ—1 ტაფა, ნინო გიორგის ასულმა ინასარიძისამ—1 სასუხრე და 6 ფერადი ცხვირსახოცი.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**


მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

**—| ა ბ ა ნ ო. |—**

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალაზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები უოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში") ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.**

**სამკურნალო აბანო**

**პ. ვ. ოგოლაძის.**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.


სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში